საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-193

ქ. თბილისი

28/02/2019

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, შპს „ანაკლიის განვითარების კონსორციუმის“ მშრალი და ნაყარი ტვირთების (2017 წლის 27 ოქტომბრის N77 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის ექსპლუატაციის პირობების ცვლილება) ტერმინალის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის, ამავე კოდექსის მე-5 მუხლის, მე-12 პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, შპს „ანაკლიის განვითარების კონსორციუმის“ მშრალი და ნაყარი ტვირთების (2017 წლის 27 ოქტომბრის N77 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის ექსპლუატაციის პირობების ცვლილება) ტერმინალის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნა N18; 11.02.2019წ;

2. შპს „ანაკლიის განვითარების კონსორციუმი“ ვალდებულია გზშ-ს ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს სკოპინგის დასკვნის N18; 11.02.2019წ. შესაბამისად;

3.ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ანაკლიის განვითარების კონსორციუმს“;

4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ანაკლიის განვითარების კონსორციუმის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;

5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი